საქართველოს მთავრობის

დადგენილება №152

2022 წლის 29 მარტი

ქ. თბილისი

„პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №368 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №368 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/06/2020, 470230000.10.003.022082) და დადგენილებით დამტკიცებული „პირბადის ტარების წესის“:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს პანდემიის ან/და ეპიდემიის დროს დახურულ საჯარო სივრცეში, აგრეთვე პანდემიის ან/და ეპიდემიის დროს საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მათ შორის, მეტროპოლიტენით) და ტაქსით (M1 კატეგორია) გადაადგილებისას პირბადის ტარების წესსა და პირობებს.“.

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა) საჯარო და კერძო დაწესებულებების მისაღებში; ასევე შეხვედრებზე/თავშეყრისას, როდესაც შეუძლებელია ერთი მეტრის სოციალური დისტანციის დაცვა;“;

ბ) „ა^{1}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა^{1}) დახურული ტიპის ბაზრებსა და ბაზრობებზე;“;

გ) „ა^{2}“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საჯარო და კერძო დაწესებულებებში გამართულ შეხვედრებზე/თავშეყრისას გამომსვლელს/მომხსენებელს შეუძლია, არ გამოიყენოს პირბადე გამოსვლისას/მოხსენებისას, თუ იგი დაიცავს არანაკლებ ერთი მეტრის სოციალურ დისტანციას.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 28 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**